ქმედების სიძულვილით მოტივირებულ დანაშაულად კვალიფიკაცია

ელენე საპანაძე

სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სისხლის სამართლის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გოგა ხატიაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ელენე საპანაძე

19.01.2026

აბსტრაქტი

თანამედროვე სოციალურ და სამართლებრივ კონტექსტში სიძულვილით მოტივირებული დანაშაულები ერთ-ერთ მწვავე პრობლემად გვევლინება, რადგან რიგით დანაშაულებთან შედარებით უფრო ფართო და მძიმე ზეგავლენა აქვთ საზოგადოებაზე. ასეთი ქმედებები ხშირად არღვევს არა მხოლოდ კონკრეტული პირის უსაფრთხოებას, არამედ აძლიერებს დაუცველობისა და შიშის განცდას განსხვავებულ ჯგუფებში. შედეგად, ზიანდება ნდობა საზოგადოებრივი წესრიგის, ინსტიტუტებისა და სამართლიანობის მიმართ, ხოლო სოციალური ურთიერთობები უფრო მარტივად ხდება პოლარიზაციისა და დაპირისპირების ობიექტი. ამგვარი დანაშაულის მიმართ ეფექტიანი რეაგირება კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რადგან იგი უკავშირდება საზოგადოებრივი თანაცხოვრების საფუძვლებს: თანასწორობის იდეას, ერთმანეთის პატივისცემასა და მშვიდობიანი თანამყოფობის შესაძლებლობას.

მიუხედავად იმისა, რომ სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის პრობლემა ფართოდ არის აღიარებული, მისი მოტივის იდენტიფიცირება და სამართლებრივი კვალიფიკაცია კვლავ სირთულეებით არის დაკავშირებული. მთავარი გამოწვევა იმაში მდგომარეობს, რომ მოტივი, როგორც ფსიქოლოგიური და შიდა განზრახვის კომპონენტი, იშვიათად ვლინდება პირდაპირი ფორმით; ამიტომ მისი დადგენა, როგორც წესი, ხდება ირიბი ნიშნების, გარემოებებისა და ქმედების კონტექსტის შეფასებით. ეს კი ქმნის არაერთ რისკს: ერთ შემთხვევაში შეიძლება მოხდეს სიძულვილის კომპონენტის უგულებელყოფა, ხოლო მეორე შემთხვევაში - მის „მიმაგრება“ იქ, სადაც იგი სათანადოდ ვერ დასაბუთდება. დამატებით სირთულეს წარმოშობს ერთიანი და მკაფიო მიდგომის დეფიციტი, რის გამოც პრაქტიკაში შესაძლოა განსხვავებული მიდგომები დამკვიდრდეს იმის მიმართ, რა მიიჩნევა მოტივის დასადგენად საკმარის საფუძვლად. ასეთი არაერთგვაროვნება ართულებს როგორც დროულ ამოცნობას, ისე მონაცემების თანმიმდევრულ და სანდო აღრიცხვას,

რაც საბოლოოდ ზღუდავს პრობლემის ზუსტი მასშტაბის დანახვას და რეაგირების პოლიტიკის დაგეგმვას.

ნაშრომში განხილული იქნება სიძულვილით მოტივირებული დანაშაულის ფენომენი და მისი აქტუალობა თანამედროვე საზოგადოებრივ გარემოში, კერძოდ, რატომ იწვევს ასეთი ქმედება რიგით დანაშაულთან შედარებით უფრო ფართო სოციალურ ზიანს და როგორ ასუსტებს თანასწორობის, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი ნდობის საფუძვლებს. ყურადღება დაეთმობა სიძულვილის მოტივის როლს სამართლებრივ შეფასებაში და იმ გარემოებას, რომ მოტივი, როგორც დამნაშავის წარმოდგენაში არსებული სურვილი, ხშირ შემთხვევაში პირდაპირ არ ვლინდება, რის გამოც მისი იდენტიფიცირება და კვალიფიკაცია დამოკიდებულია ირიბი ნიშნების, კონტექსტისა და გარემოებების სიფრთხილით შეფასებაზე.

საძიებო/საკვანძო სიტყვები: სიძულვილით მოტივირებული დანაშაული, მიკერძოების ინდიკატორები, დაცული მახასიათებლები, მტკიცებულებათა სტანდარტი.

Abstract

In the modern social and legal context, hate crimes are one of the most pressing problems, as they have a wider and more severe impact on society than ordinary crimes. Such actions often violate not only the security of a specific person, but also increase the feeling of insecurity and fear in different groups. As a result, trust in public order, institutions and justice is damaged, and social relations more easily become objects of polarization and confrontation. An effective response to such crimes is critically important, as they are related to the foundations of social coexistence: the idea of equality, mutual respect and the possibility of peaceful coexistence.

Although the problem of hate crime is widely recognized, identifying and legally qualifying its motive is still fraught with difficulties. The main challenge is that motive, as a component of psychological and internal intention, is rarely manifested in a direct form; therefore, its determination is usually made by assessing indirect signs, circumstances and the context of the action. This creates a number of risks: in one case, the hate component may be ignored, and in another, it may be "attached" to a place where it cannot be properly substantiated. An additional difficulty is the lack of a unified and clear approach, which is why different approaches may be established in practice regarding what is considered sufficient grounds for determining motive. Such heterogeneity complicates both timely recognition and consistent and reliable recording of data, which ultimately limits the ability to see the exact scale of the problem and plan response policies.

The paper will discuss the phenomenon of hate crime and its relevance in the modern social environment, in particular, why such an act causes wider social harm compared to ordinary crime and how it weakens the foundations of equality, security and public trust. Attention will be paid to the role of the hate motive in legal assessment and the fact that the motive, as a desire in the mind of the offender, is often not directly manifested, which is why its identification and qualification depends on a careful assessment of indirect signs, context and circumstances.

Search/keywords: Hate-motivated crime, bias indicators, protected grounds, standard of proof.